✦ 15 თებერვალს პოლიციამ დააპატიმრა ნახიჩევნის მაზრის მცხოვრები მნაცაკ პირუნიანცი, რომელსაც ყალბი ფული აღმოაჩნდა. პირუნიანცი პასუხის გებაში მისცეს.

✦ სოფელ წინარეხში შაბათს 15 კათათვეს სადღაც წასულა ალექსი ილიას ძე თაგვიაშვილი და შემდეგ აღარსად ჩანს. მახლობლებმა არ იციან მკვდარია თუ ცოცხალია თაგვიაშვილი ცოლიანია, 25 წლისა.

✦ 18 თებერვალს, საღამოს 9—10 საათზე, ნავთლუღიდან ტფილისში მომავალ ტრამვაის კონდუქტორის მეუღლე ტატიანა ბარტენიევისა, თვით ბარტენიევი და მათი ნაცნობი ანტონ კანუნიკოვი ხიდთან ვიღაც კაცი მიჰვარდნია ტატიანას, წაუქცევია ქალი ქუჩაში და ღონივან ბეცუთით დაუჭრია. კანუნიკოვს და ბარტენიევის ქმარს დაუნახავთ სამი სხვა უცნობი, შეშინებიათ, მიუნებებიათ თავი და გაქცეულან. დაჭრილი სამხედრო საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ ტფ. ქალაქის თავის ავადმყოფობის გამო იმის თანამდებობის დროებით აღსრულებას შეუდგა გამგეობის წევრი ნ. ბ. კოკჩაევი.

✦ ტფ. საბჭოს ხმოსანმა მ.ზ. ქანანოვმა განცხადება შეიტანა გამგეობაში კუკიაში ქალაქმა გახსნას სამშობიარო სახლი გამგეობა ახლო მომავალში განიხილავს ამ მოხსენებას.

ქუთაისის ქრონიკა

✦ არქიელის გორაზე 18 თებერვალს ბევრი სახლი გაიჩხრიკა და რამდენიმე მოსწავლეც დაატუსაღეს.

✦ გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ქალაქმა თავის საქირურგო საავადმყოფო გახსნას საკუთარ შენობაში და ამისათვის საჭირო ხარჯი შეიტანოს ხარჯთ-აღრიცხვაში.

✦ 13 თებერვალს ღამე დააპატიმრეს ფოტოგრაფი ცხომელიძე.

✦ გუბერნიის ადმინისტრაციამ მოსთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ მან მალე გადაიხადოს ის ვალი, რომელიც კლასიკურ გიმნაზიისა დაედო.

✦ პოლიციის შენახვა და ჟანდარმის მოხელეთა და ჯარის კაცთა ბინის ქირის გადახდა ქალაქის ვალდებულებას შეადგენს. კასის შევიწროვებულ მდგომარეობისა გამო ქალაქს საკმაოდ დიდი ვალი დაედო. გუბერნიის ადმინისტრაციამ რამდენჯერმე მიმართა ქალაქის გამგეობას, ეს ვალი გადაიხადეთ, ბოლოს-კი გუბერნატორმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა და ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, გადასახადის ამკრები აგენტები დაითხოვეთ, თუ ფული მათი დაუდევრობის გამო არ შემოდისო. შუამდგომლობის წყალობით აგენტები ჯერ ისევ თავ თავიანთ ადგილებზე არიან და კიდევაც შეუდგნენ გადასახადის აკრებას. პოლიციის დახმარებით ფული სასტიკად იკრიბება და აგენტებს იმედი აქვთ, რომ ერთის თვის განმავლობაში 15 ათას მანეთზე მეტი შეიკრიბება. ქალაქს ამით თუ მიემატება რამე, თორემ დაკლებით არაფერი დააკლდება; სამაგიეროდ მოქალაქე, განსაკუთრებით ღარიბი, დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი. როცა აგენტს ფულს არ აძლევენ, ის დაუყონებლივ ასწერს სახლის ავეჯეულობას გასასყიდად და ამით მოქალაქე იძულებული ხდება, შეუძლებელი შეიძლოს და რადაც უნდა დაუჯდეს ფული იშოვნოს.

✦ 14,000 მ. მიღება ყალბის საბუთით ქუთაისის ხაზინიდგან დღესაც სალაპარაკოდ არის გახდარი. საქმის გარემოება ასე ყოფილა: ვაჭარს ნ. ჯანელიძესთან გამოცხადებულა უცნობი, რომელსაც ნაცნობ ვაჭრისაგან გადაუცია ჯანელიძისათვის წერილი, სადაც უკანასკნელს წერილის მომტანისთვის დახმარებას სთხოვდენ სახლის შეძენაში. ჯანელიძეს თითონ ვერ უტვირთნია ეს საქმე და ადგილობრივი დალალი ებრაელი მიუჩენია, რომლის დახმარებითაც მოსულს ერთი სახლი უყიდნია 14,000 მანეთად. ამასობაში ხაზინაში ფული მოსულა. დალალ ებრაელისავე დახმარებით მოსულს ფული მიუღია. მეორე დღეს უნდა გაესტუმრებინა სახლის პატრონი, მაგრამ უცნობი მეორე დღეს სასტუმროდან სადღაც გამქრალა და ამასობაში ყალბი საბუთით ფულის მიღებაც გამოაშკარავებულა. პოლიციამ დააპატიმრა ნ. ჯანელიძე, რომელიც საქმის ვითარების გაგების შემდეგ მალე გაანთავისუფლეს, ხოლო დალალი ებრაელი დღესაც ციხეშია.

✦ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით, ვიცე-გუბერნატორის მაკაროვის თავმჯდომარეობით, შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშავოს მოხსენება ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საქმეთა მოსაწესრიგებლად. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების რწმუნებულს სთხოვა, თავის მხრით დანიშნოს წარმომადგენელი აღნიშნულ კომისიაში. წარმომადგენლად დაინიშნა აგრონომი ტიმოფეევი.

პატარა ფელეტონი

ზღურბლი

ტურგენიევისა.

ვხედავ უშველებელ შენობას. წინა კედელში ვიწრო კარი სრულიად ღიაა. კარს იქით უკუნი წყვდიადია. მაღალ ზღურბლის წინ სდგას ქალიშვილი, რუსის ქალიშვილი ყინვით სუნთქავს იგი მიუწდომელ საშინელ ბნელისა და ყინვიან სიოსთან ერთად. შენობის სიღრმიდან გვიან გვიან მოისმის ხმა:

— ოჰ, შენ, რომელსაც გსურს გადააბიჯო ამ ზღურბლს, იცი, რა მოგელის?

— ვიცი,—უპასუხებს ქალიშვილი.

— სიცივე, შიმშილი, სიძულვილი, დაცინვა, ზიზღი, შეურაცხყოფა, ციხე, სნეულება, თვით სიკვდილი.

— ვიცი... მზადა ვარ. მე გადავიტან ყველა ტანჯვას, ყოველ უბედურებას.

— არა მარტო მტრებისაგან, არამედ ნათესავებისაგან, მეგობრებისაგან?

— კი... მაგათგანაც ავიტან.

— კარგი. მზადა ხარ მსხვერპლისათვის? შენ დაიღუპები, და არავის... არავის არ ეცოდინება, ვის ხსოვნას უნდა სცეს პატივი.

— მე არ მჭირდება არც მადლობა, არც შებრალება. მე არც სახელი მინდა.

— მზადა ხარ... დანაშაულობისათვის?

ქალიშვილმა თავი დახარა:

— მაგისთვისაც მზადა ვარ...

ხმამ მაშინვე არ განაახლა თავისი კითხვები:

— იცი,—ბოლოს, ხელ-ახლა დაიწყო მან:—შეიძლება დაჰკარგო იმისი რწმენა, რაც ახლა გრწამს, შეიძლება მიხვდე, რომ შესცდი და ტყუილა უბრალოდ დაღუპე შენი სიყმაწვილე?

— ესეც ვიცი.

— შემოდი!

ქალიშვილმა ზღურბლს გადააბიჯა და მძიმე ფარდაც დაეშვა.

— სულელი!—კბილების კრაჭუნით წამოიძახა ვიღამაც.

— წმიდანი!—მოისმა საიდანღაც პასუხად.

ბრილლი.

უცხოეთის ქრონიკა

სპარსეთის და ოსმალეთის დავა. ოსმალეთის კომისიამ განაცხადა, ჩვენი წოვალეობა გათავებულად მიგვაჩნიაო, და გადასწყვიტა, 16 თებერვალს ურმია მიატოვოს.

მიანდაბიდან იუწყებიან, ოსმალეთის ჯარისა და არტილერიის ნაწილი აქამდე სოუჯ ბულახში დგასო. გაიგეს რა ეს, ზოგიერთი წარჩინებული ქურთი, რომელთაც ეწადათ პრინც ფერხან-ფერმისათვის მორჩილება გამოეცხადებინათ, გზიდან უკან დაბრუნდნენ. პრინცი მანკული-მირზა არ მისულა სოუჯ-ბულახს.

„კორესპონდენტ-ბიურო"-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: სპარსეთის ელჩს ჯერ არ მიუღია დამამტკიცებელი ცნობა, რომ ფაზილ-ფაშას სოუჯ-ბულახი მიუტოვებინოს, მაგრამ „პეტერბურგის სააგენტოს" ცნობას ამის შესახებ სწორე ცნობადა სთვლის, ოსმალეთის სამხედრო მინისტრს 12 თებერვალს ჯერ არავითარი ცნობა არა ჰქონდა მიღებული სოუჯ-ბულახის დაცლის შესახებ, მაგრამ მაინც უთხრა სპარსეთის ელჩს, რომ ჯარი სოუჯ-ბულახიდან სულ მოკლე ხანში გავაო, რადგან ფაზილ-ფაშა უცილობლად მიავალია დაემორჩილოს ბრძანებას. ხმა, ვითომ ბძანება სოუჯ-ბულახის დაცლის შესახებ გაუქმებულიაო, სწორე არაა.

ოსმალეთი. ოლთისიდან ატყობინებენ სომხურ გაზ. „ვტაკს": აქ ცნობა მიიღეს, რომ ოსმალეთმა მრავალ ჯარს მოუყარა თავი რუსეთის მოსამზღვრე სოფელ იდიშიო. ამ დღეებში ოსმალეთის ადმინისტრაციამ ჯარის საკვებად 3,000 ტომარა ფქვილი მოიტანა.

პრუსია. 14 თებერვალს პრუსიის ზედა პალატამ, 143 ხმის უმეტესობით 111 წინაამდეგ, დეპუტატ ადიკეს წინადადების თანახმად, მიიღო კანონ-პროექტი პოლონელთა მამულების შესახებ დეპუტატთა პალატის რედაქციით (პ. ღ. ს.).

—

ვენიდან სომხურ გაზეთ „ვტაკს" სენსაციონურ ამბებს ატყობინებენ, რომ ოსმალეთის მთავრობა ჯარის მობილიზაციას უკვე შეუდგა და ღამზადებულ შეიარაღებულ დიდს სამხედრო ძალას თან-და-თან რუსეთის საზღვარს უახლოვებს. გაზეთს ატყობინებენ აგრეთვე, რომ სამხედრო მთავრობას ფურცლებით მიუმართავს ქურთებისათვის და მოუწვევია ქურთების ამირეთები შეერთებული ძალით გამოვიდნენ და დაემზადნენ მოსალოდნელ ომისთავის.

—

ამავე გაზეთს თეირნიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ სპარსელ რევოლიუციონერებს სპარსეთის შაჰის მოკვლა განუზრახავთ. 15 თებერვალს როდესაც შაჰი ქუჩაში მიდიოდა უცნობებს ყუმბარა გადაუგდიათ. შაჰი უვნებლად გადარჩენილა.

რუსეთი

✦ **ფოსტის გაძარცვა** ამ დღეებში გაძარცვეს ბარნაულიდან (ციმბირში) მიმავალი ფოსტა. მოიტაცეს 35,000 მან. და კორესპონდენცია. მძარცველები აღმოაჩინეს, ესენი გამოდგნენ: გადმოსახლებულთა მართველის მნახველი, საქალაქო ბიბლიოთეკის ზედამხედველის თანაშემწე და ფოსტის [illegible] მოხელე. მორჩილ ერთ თავი მოიკლა. ფული ჩამოართვეს.

✦ **მეორე ლეს გაძარცვა.** [illegible] 14 თებერვალს, დილით [illegible] გზის კომერციულ სააგენტოს კარებთან დაეცნენ აღმოსავლეთ აზიის მეკეთეთა საზოგადოების მეარტელეს, რომელსაც ფული მიჰქონდა, და 25,000 მან. მოსტაცეს.

✦ **ხოც-რეგ. ორგანიზაციის დაღუპვა.** [illegible] ცნობით, მოსკოვში [illegible] პოლიციამ აღმოაჩინა და დააპატიმრა 25 კაცი, რომელნიც შეადგენდნენ [illegible]

რაც ადამიანისთვის აუცილებლად საჭიროა, მაგალითად: ვერ ააშენებს სახლს, ვერ მოხნავს მიწას, ვერ შეჰკერავს ტანისამოსს... და რაკი ყველა ამისთვის დიდი ძალაა საჭირო ამიტომ ხალხი შეიგნებს ერთობის მნიშვნელობას და შეერთდებაო.

კვლავ განვლო რამდენიმე ხანმა. და როდესაც ღმერთი მოვიდა იმის გასაგებად, თუ როგორა სცხოვრობდა ხალხი, დაინახა რომ იგი წინანდელზე უფრო საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო: ხალხი (რადგან სხვაფრივ ცხოვრება შეუძლებელი იყო) სცხოვრობდა თანაზიარად, მაგრამ ერთად კი არა; დაიყო პატარ-პატარა ჯგუფებად და ერთმანეთს მოსვენებას არ აძლევდნენ. ერთი სცდილობდა მეორესათვის სამუშაო წაერთმია; უშლიდნენ ერთმანეთს ცხოვრებას. აი, ასე მთელ ძალასა და დროს ბრძოლას ანდომებდნენ, რის გამოც ჩამოვარდა უწინდელზე უფრო დიდი მტრობა და შური.

ხალხის ამ უბედურობისაგან დასახსნელად ღმერთმა ასე მოაწყო საქმე: დაუწესა ყველას მოულოდნელი **სიკვდილი**, ეგონა, რაკი ყოველი ადამიანი სიკვდილის მოლოდინში იქნება, ეეცდება რაც შეიძლება კარგად და სიტკბოებაში გაატაროს თავისი მოკლე დრო, მაგრამ, საუბედუროდ, ცხოვრების ჩარხი სულ სხვაფრივ დატრიალდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ ყოველ წამს შეიძლებოდა მომკვდარიყო, ამიტომ სცდილობდა ფუფუნებასა და განცხრომაში გაეტარებინა დრო, რითიც, რასაკვირველია, ბევრსა ისარგებლა. ვინც უფრო ღონიერი იყო სწორეთ იმას დარჩა ბურთი და მოედანი: ესენი იმონავებდნენ თავიანთზე სუსტებს (რადგან სურდათ ფუფუნებაში ყოფილიყვნენ სხვის შრომით) და ვინცკი ურჩობდა, ზოგს ხოცდნენ და ზოგსაც სიკვდილით ემუქრებოდნენ.

აი ასე, ერთი ნაწილი ხალხისა ძალა უნებურად მეორის მსხვერპლად გახდა. დაიბადა ორი წრე, ურთ-ერთის მოწინააღმდეგე, რომელთაც ერთმანეთის დანახვაც-კი ეჯავრებოდათ. პირველი შესდგებოდა ღონიერ ხალხისა და მათ ჩამომავლობისაგან, რომელნიც იკვებებოდნენ სხვის ნაშრომით, იყვნენ განცხრომაში, მეორეს ღონე მიხდილი, განუწყვეტელ მუშაობისაგან სინსილა გამოლეული ხალხი, რომელიც სულ იმის ნატვრაში იყო, რომ როგორმე დაესვენა ამ ჯაფისაგან. ამგვარად ცხოვრება უფრო და უფრო უბედური შეიქმნა.

დაინახა თუ არა ღმერთმა ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი, გადასწყვიტა ამ საქმის გასასწორებლად ეხმარა უკანასკნელი საშუალება: მოჰფინა ხალხს ყოველნაირი **სენი**; ეგონა, რადგან ვერავინ ასცდება ავადმყოფობას, ამიტომ ხალხი შეიგნებდა, რომ ავადმყოფთ უეჭველად დახმარება უნდა აღმოუჩინონ სალებმა, თუ სურთ რომ სხვებმაც ისეთივე გულშემატკივრობა გაუწიონ მათ ავადმყოფობის დროს. სქთვა ეს მაინც შეაერთებს ხალხსაო, და მიანება თავი.

მაგრამ ამაოდ ჩაიარა ამ ცდამაც. ახლად მოვლენილმა სნეულებამა-კი არა შეაერთა ხალხი, უფრო დააშორა ერთმანეთს. ხალხის ის ნაწილი, რომელიც ფუფუნებაში იყო და რომელსაც დამონებული ჰყავდა მეორე ნაწილი, ძალას ატანდა ამ უკანასკნელს—ავადმყოფისთვის მეეარა, თითონ კი ხელს არ ანძრევდა და არც გული შესტკიოდა სხვის ავადმყოფობაზე. ეხიხლებოდათ ავადმყოფების დანახვა და რომ მათ სიამოვნებისთვის ხელი არ შეეშალა ავადმყოფების დანახვას, დაარსეს განმარტოებით ისეთი სახლები, სადაც ავადმყოფებს ათავსებდნენ. საწყალი დაბეჩავებული ხალხი მთელ თავის დროს სხვების მოვლას ანდომებდა, თავისი ავადმყოფები-კი რჩებოდა მოუვლელი, რის გამოც ბევრს უპატრონოთ ამოსდიოდა სული. გარდა ამისა, ხალხმა ბევრი სენი მიიჩნია გადამდებად და ამიტომ არ ეკარებოდნენ არა თუ ავადმყოფებს, ავადმყოფების მახლობელთაც-კი.

მაშინ კი სთქვა ღმერთმა: თუ არ შეიძლება ამ საშუალებით ხალხის გონზე მოყვანა, რომ შეიგნოს, რაშია მათი ბედნიერება, მაშ ეხლა თითონ სცადოს და ტანჯვით მიაღწიოს ბედნიერებასაო. სთქვა და მიანება ხალხს თავი.

განვლო დიდმა ხანმა. სცხოვრობდა ხალხი ისე, რომ არ იცოდა, რა იყო მათთვის საბედნიეროო. ასეთ გაუგებარ მდგომარეობაში კარგა ხანს იყო და მხოლოდ ბოლო დროს შეიგნეს ზოგიერთმა, რომ **შრომაა** ერთად-ერთი მხსნელი ხალხისა უბედურობისაგან, ისეკი, რომ რომ ეს შრომა არ უნდა იყოს ერთისთვის საფრთხობელა, ხოლო მეორესთვის აუცილებელი კატორგა: იგი უნდა იყოს ყველას შემაერთებელი სასიხარულო საქმე. რადგან ყოველი ადამიანი ყოველს წამს სიკვდილს მოელის, მიხვდნენ, რომ ერთად-ერთი ჭკვიანური საქმე ადამიანისა ის არის, რომ შეეცადოს ყველამ თანხმობასა და სიხარულში გაატაროს წინათვე თითოსთვის დანიშნული წლები, თვეები, საათები და წუთები. შეიგნეს აგრეთვე, რომ სნეულებებმა ხალხი კი არ უნდა დააშოროს, უნდა შეაერთოს და შეაკავშიროს.

[illegible]

რედ წოდებულ რკინის გზის ორგანიზაციას სოციალ-რევოლიუციონურ პარტიისას. დატუსაღებულთ უპოვეს დოკუმენტები, რომლებიც ნათელსა ჰყვენენ ორგანიზაციის მოქმედებასა და ბევრს რევოლიუციონურ აქტსა.

✦ **გაზეთების რიცხვი 1904 და 1906 წ.** „პრავიტ. ვესტნიკი“ ადარებს პერიოდულ გამოცემათა რიცხვს რუსეთში 1904 და 1906 წ. წ., ესე იგი რევოლიუციის წინა და შემდეგ წლებში. განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი გავლენა იქონია პრესის განვითარებაზე. გაზეთებისა და ჟურნალების რიცხვმა იმატა 1350-დან 2418-მდე. ამას გარდა პრესსა უფრო მჭიდროდ დაუახლოვდა ხალხსა, მით, სხვათა შორის, რომ ისეთ ენებზე გამოვა გამოიცა გაზეთები რომლებზედაც წინად არაფერი არ იბეჭდებოდა. წინად აკრძალულმა მალოროსიულმა ენამ 1906 წელს 14 გამოცემა გაიჩინა, ნახევრად აკრძალულმა ლიტვურმა ენამ (ლიტვური ანბანი იყო აკრძალული)—11. გაჩნდნენ გაზეთები ბელორუსიულ, ბერძნულ, რუმინულ, ჩეხურ, ჩუვაშურ და ოსურ ენებზე. ძლიერ გაიზარდა თათრული პრესსა (33 მაგიერ 1), სომხური (33 მაგიერ 7), ებრაული, ქართული, ესტონური. შესაჩნევად იმატა რუსულ გამოცემათა რიცხვმა (1,083-დან 1830-მდე), პოლონურმა, დატიშურმა და სხვ. გამოცემათ. რიცხვი შემცირებულა მხოლოდ ფრანგულ ენაზე—7 მაგიერ მხოლოდ ერთი-და გამოსულა. სამწუხაროდ „პრავიტ. ვესტნიკი“ არაფერს არ ამბობს, თუ ახლად დაარსებულ პერიოდულ გამოცემათა რა ბედი ეწვიათ წილად. ბევრი მათგანი ხელადვე დაიკეტა ადმინისტრაციის განკარგულებით.

✦ **სახ. ლიმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატის გასამართლება.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ9 თებერვალს განიხილა საქმე მეორე სათათბიროს წევრის შირსკის საქმე. იმას ჰბრალდება მრავალ წერილის დაბეჭდვა გაზ. „იზვესტიასა“ და „ნაროდნი გოლოს“-ში, რომელთა რედაქტორიც თითონვე შირსკი იყო. მრავალმა მოწამემ აჩვენა, რომ ამ გაზეთების ნომრები, სადაც შირსკის წერილები იყო დაბეჭდილი, არ გავრცელებულა ხალხში, რადგან ადმინისტრაციამ დაატუსაღა. პროკურორმა ამ საბუთით უარი სთქვა ბრალდებაზე მე-129 მუხლის ძალით და მხოლოდ მე-132 მუხლის ძალით-და სდებდა ბრალსა, მაგრამ სასამართლომ მაინც მე-129 მუხლის ძალით შირსკის მიუსაჯეს $1^1/_2$ წლით ციხეში დაპატიმრება და დაადგინა, გხლავე დატუსაღებულ იქმნას, თუ 2 ათას მანეთს არ წარმოადგენს გირაოდ. შირსკი სოც.-რევოლ. ფრაქციის წევრი იყო.

✦ **ცარცვის გახშირება,** კიევის გუბერ. ბალტიის მაზრიდან იწერებიან, რომ ცარცვამ სოფლებში უადრესობამდე მიაღწია. ამის მიზეზი შიმშილია. მცარცველები ხშირად მეტად დიდ მხეცობას იჩენენ, მაგალითად სოფ. გოლმაში ერთი ოჯახი ჯერ გაცარცვეს და მერე მთლად ამოწყვიტეს. ასეთი გულქვაობა იმით აიხსნება ქვალის მოსპობის სურვილით, რადგან მცარცველები და გაცარცულები მომეტებულ ნაწილად მეზობლები არიან.

უცხოეთი

საფრანგეთი. დეპუტატთა პალატა ამ ჟამად იხილავს კანონ-პროექტს შემოსავლის დაკვალიად გადასახადზე. ეს კანონპროექტი შემდეგი შინაარსისაა. პროექტი არა სჯერდება შემოსავალზე პროგრესიულ გადასახადის დაწესებას, იგი მთლად სცვლის პირდაპირ გადასახადების აწ არსებულ სისტემას. პროექტით ყველა შემოსავალი 7 ნაწილად განიყოფება: 1) შემოსავალი იმ მიწის ნაჭრებიდან, რომლებზედაც შენობებია აგებული; 2) შემოსავალი ცალიერ მიწის ნაჭრებიდან; 3) შემოსავალი ფულიდან; 4) შემოსავალი ვაჭრობისა, მრეწველობისა და პირად სამრეწველო საქმეებისა; 5) სასოფლო-მეურნეობისა; 6) ჯამაგირიდან, რომელსაც იღებენ სახელმწიფო და კერძო სამსახურში, სამუშაო ქირა, პენსიები; 7) შემოსავალი თავისუფალ პროფესიებიდან. პირველ ორს დარგს შემოსავლისას (უძრავ ქონებიდანა და ფულიდან) 4% გადასახადი დაედება. ვაჭრობისა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემოსავალს დაედება $3^1/_2$%, სამუშაო ქირას, ჯამაგირს სახელმწიფო და კერძო სამსახურში და თავისუფალ პროფესიების შემოსავალს დაედება 3% გადასახადი. შემოსავლის დაბალ დარგებს ექნება ზოგიერთი შეღავათი. ასე, მიწის წვრილ ნაჭრების მესაკუთრეთ, თუ იმათი შემოსავალი 500 ფრანკს არ აღემატება, დაეთმობათ გადასახადის $^1/_5$ ნაწილიდან $^3/_5$—მდე, თუ ისინი თითონ მუშაობენ თავიანთ მამულებში. სასოფლო მეურნეობაში განთავისუფლებულ იქნებიან გადასახადისაგან ის მეურნენი, რომელთაც 1,250 ფრანკზე მეტი შემოსავალი არა აქვთ; ამის წყალობით $5^1/_2$ მილიონამდე წვრილი მეურნე სრულებით თავისუფალ იქნება ყოველ პირდაპირ გადასახადისაგან. პირად ნამუშევრის ყველა დარგის შემოსავალს დაედება გადასახადი იმ შემთხვევაში, თუ იგი აღემატება განსაზღვრულ სუმმას; ეს სუმმა აღნიშნულია 1,250-დან 2,500 ფრანკამდე, ადგილის მიხედვით. ადვილად შეჰნიშნავთ, რომ ამ შეღავათებით წესდება ცოტაოდენი პროგრესია შემოსავლის ზოგიერთ დარგისათვის.

მაგრამ კანონ-პროექტის უმთავრეს ნაწილს შეადგენს ეგრედ წოდებული „დამატებითი გადასახადი“. ყოველი გადასახადის 5,000 ფრანკზე ნაკლები შემოსავალი თავისუფალი იქნება ამ გადასახადისაგან. ასეთი დიდი მინიმუმი შემოსავლისათვის არც ერთ ქვეყანაში არაა დაწესებული: პრუსიაში იგი უდრის 900 მარკას, ინგლისში—160 გ. სტ: მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვრილს შემოსავალზე დადებულ იქნება სხვა გადასახადები, რომელნიც ზემოდ ჩამოვთვალეთ.

ბურჟუაზიული პრესა სწორედ ამ „დამატებით გადასახადს“ ეწინააღმდეგება.

ინგლისი. ლორდთა პალატამ მიიღო მეორედ წაკითხვის შემდეგ მთავრობის კანონპროექტი, რომელიც შეადგენს დამატებას კანონისას დაშავებულ მუშების საზღაურის შესახებ. ახალ კანონპროექტის ძალით, როცა რომელსამე მუშას უბედურ შემთხვევისა გამო ზარალი მოუვა, ამ ზარალის გამოანგარიშების დროს არ უნდა მიიღონ მხედველობაში ის ფული, რომელსაც მუშა დამზღვევ საზოგადოებათაგან იღებს. აქამდე სასამართლოები უბრიდნენ ხოლმე დაშავებულ მუშებს იმ ფულს, რომელსაც ან თითონ დაშავებული, ან იმისი ოჯახობა მიიღებდა დამზღვევ საზოგადოებისაგან, იმ ზარალის სუმმიდან, რომლის გადახდაც მიესჯებოდა კაპიტალისტს, და ამის გამო მუშებს პირად დაზღვევის ხალისი ეკარგებოდათ.

პორტუგალია. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ პორტუგალიის პოლიტიკაზე ბოლოს დროს დიდი გავლენა მოიპოვა ლიბერალურ პარტიის მარცხენა ფრთის წევრმა ალპოიმმა. მეფის მოკვლის წინა დღეს იგი იძულებული იყო ლისაბონიდან გაქცეულიყო. ეხლა ალპოიმი დაბრუნდა ლისაბონში და როგორც ეტყობა, დიდი გავლენა აქვს მეფის სასახლეში.

შეერთებული შტატები. მთავრობა მხნედ ებრძვის მსხვილ კაპიტალისტების ტრესტების ბოროტ-მოქმედებას. ამ დღეებში გადაწყვიტა, სამართალში მისცეს წყნარ ოკეანეს სამხრეთ რკინის გზის პატრონები ტარიფის უკანონოდ დაკლებისათვის. ამ რკინის გზის კამპანიას 4 ათასზე მეტჯერ დაურღვევია კანონი, ამიტომ ელიან, რომ მეტად დიდ ჯარიმასაც მიუსჯიან. ამერიკული გაზეთები ანგარიშობენ, ეს ჯარიმა 10 მილიონ მანეთზე ნაკლები არ იქნებაო.

საქარის სანერგე და

იქაური ბიუროკრატები

(წერილი რედაქციის მიმართ)

ყველამ კარგად იცის, რომ თხუთმეტიოდე წელიწადია ფილოქსერა ქუთაისის გუბერნიას მოედო. იმერეთში კარგად ხანია ამ სენმა სულერთიან გააქრო ვაზი, მაგრამ ამერიკულ ვაზის წყალობით იქ კვლავ აღორძინდა ვენახი. ყველაზე გვიან ხენი მოედო რაჭა-ლეჩხუმს. ამ ხანმა მცხოვრებნი სასოწარკვეთილებას მისცა. ვისაც მოსდიოდა ასი ან ოთხმოცი კასრი (კასრი ორი ფუთია), 1907 წელს მოუვიდა ხუთი ან ექვსი კასრი. მდგომარე წლისათვის ხომ ყველას იმედი დაკარგული აქვს. ვენახი დღითი-დღე ხმება.

ყველა ამის გამო რამდენმამე კაცმა სინჯა და გააშენა ნამყენი ვენახი. ვაზმა ძლიერ გაიხარა, კარგად მოისხა, მაგრამ ყურძენი არ დამწიფდა, რადგან ნამყენი მღრაშნის მაზრაში იგი ნაყიდის და იქაურ ვაზისაგან შესდგებოდა (ეგრედ წოდებული ციცქა, კრახუნა, ცოლიკოური და სხვა), რომელიც გვიანობამდის არა მწიფდება. რაჭისთვის ეს ვაზები გამოუსადეგარი გამოდგა, ხოლო ადგილობრივი დამყნილი ვაზები არსად იშოვება.

ამისთვის შევერთდით სამი კაცი და განვიზრახეთ მეგვეშინა სადმე ამერიკული ვაზი, ზედ დაგვემყნა ადგილობრივი ვაზები და მისაწვდენ ფასად გაგვევრცელებინა მხურველთა შორის. შარშან აგვისტოში წერილობით მივმართეთ საქარის ამერიკულ ვაზის სანერგის მმართველს გორაევს, რომ მდგომარე 1908 წლისთვის ეთქვა ჩვენთვის თუთხმეტი ათასი ძირი ამერიკული ვაზი, თანაც გვეუწყებინა თხუთმეტი მანეთი ბეი. იმავე თვეში მივიღეთ მეძდვი პასუხი: „თქვენი მოთხოვნილება სავსებით არ შემიძლიან აღვასრულოვო, რადგან ბევრი მთხოვნელია. გირჩევთ ნაწილი შეიძინეთ ახანოვის მამულიდანაო“. წავიკითხეთ ეს წერილი, მაგრამ ვერ გავიგეთ, რამდენს გვპირდებოდნენ. გვწერდნენ—„ნაწილი შეიძინეთ ანანოვის მამულიდანაო“. ვიფიქრეთ, ალბად სახევარს გვპირდება და ნახევარიც სხვაგან უნდა მევიძინოთო. მაინც არ დაუჯერეთ ჩვენს თავს და ერთი ჩვენი ამხანაგი გავგზავნეთ საქარაში. ამხანაგს, როგორც იყო ენახა მმართველი, და მოეხსენებინა მისთვის ყოველივე. გორაევს ამნაირი პასუხი მიეცა: „მე არ ვიცი, რამდენი მოგეცემათ; შეიძლება რაც ბე მოგვეცით, იმაზე მეტი არ გერგოთო“. ამხანაგს ეპასუხნა: „მე დალოცვილო, თუ ასე იყო საქმე, რაჭიდან აქამდის რაზე მომიყვანა, ბარემ წინად აგრე მოგეწერა, აქ აღარ მოვიდოდი და არც ამდენ ხარჯს გავწევდიო“.

ყველა ამის შემდეგ ვაზი სხვისაგან შევიძინეთ. ძალიან ძვირად დაგვიჯდა, მაგრამ მეტი რაღა ჯანი იყო! გაიარა კიდევ ერთმა თვემ და თვითონ მე წავედი რაჭიდან საქარაში, რომ ეგებს ჩვენი თხუთმეტი მანეთი ბე მაინც დამებრუნებინა. ქუთაისიდან ყვირილამდის, რასაკვირველია, მატარებლით მივედი. იქნებოდა პირველის ნახევარი, ცოტა მეტი ან ნაკლები. ყვირილიდან ფეხით მივედი საქარის სანერგეში, ასე ორი საათი იქნებოდა. ვიკითხე, გორაევი ხომ სახლში ბრძანდება მეთქი. მიიხრეს სახლშია, მაგრამ სძინავსო. როდის გაიღვიძებს მეთქი, მითხრეს—ექვს საათზე აბძანდებაო. ამ ამბავმა ძალზე, დამაფიქრა: მატარებელი ყვირილიდან ოთხს საათზე გადის ქუთაისისკენ და არ ვიცოდი რა მექნა. შევეხვეწე იქვე მყოფს მუშას, მომიხერხე რამე, ეგებ გააღვიძო მეთქი. უშველოს ღმერთმა, წავიდა და მოახსენა იქ მყოფ მოხუცს ქალს, არ ვიცი დედა იყო გორაევისა თუ სხვა ვინმე. მაგრამ ამაოდ; მოხუცს ეთქვა: „როგორ შეიძლება ასე უდროოდ გაღვიძებაო“. შევჩერდი კიდევ ნახევარ საათს. კვლავ შევეხვეწე იმავე მუშას, ეთხოვნა გორაევის ცოლისთვის, რომ გაეღვიძებინა, უთხარი ისიც, რომ რაჭიდგან მოსული ვარ და, ასთე უპასუხოდ ნუ გამიშვებს მეთქი. მაგრამ ისევ უარი მომივიდა: „როგორ შეიძლება გაღვიძება: იმან თავისით თუ არ გამოიღვიძა არ შეიძლება“. შემოვიკარ შუბლზე ხელი და გავსწიე ქუთაისისკენ ცარიელ-ტარიელმა. ქუთაისიდან ფოსტით წერილი გაუგზავნე, რომ ჩვენი ბე გამოეგზავნა, მაგრამ ვინ გაგვა პასუხი.

გაიარა ერთმა-ორმა თვემ და, როგორც იყო, მოგვივიდა ცნობა, რომ თქვენ, სამ ამხანაგს, გერგოთ ექვსასი ძირი ვაზი. მეც აღარ დამიყოვნებია და გავსწიე რაჭიდან საქარაში. მივედი თუ არა ყვირილაში, ძლიერ მშიოდა, მაგრამ საჭმელს ვინღა დაეძებდა, მაშინვე მოვკურცხლე საქარისაკენ, ეგებ გორაევი მღვიძარი დამხვდეს მეთქი. წინანდელზე ადრე მივედი. ვიკითხე გორაევი და მითხრეს, ახლა სადილობს, მოითმინე და თვითონ გიახლებაო. მეც მოვიცადე; გაიარა ცოტა ხანმა და გამოვიდა ერთი რუსი და მკითხა—ვინ ხარ ან სადაურიო. (მე ეს გორაევი მეგონა და თურმე, როგორც გავიგე, ბუხჰალტერი ყოფილა). უთხარი სადაურიც ვიყავი და მოვითხოვე ვაზები. გადამალა ოთაიც წიგნები. სიხჯა დიდხანს და ბოლოს ძითხრა: ექვსასი მეტი გერგოთო. მე გადავეცი: ბე გვაქვს 15 მან. წარმოდგენილი და იქიდგან, მაგ ვაზების ფას გარდა, უნდა დამიბრუნოთ რვა მან. და 97 კ. წიგნებში ბევრის ძებნის შემდეგ ძითხრა, რომ მანი ბე აქ არა სწერია და არ ვიციო. მე ფოსტის კვიტანცია წარვუდგინე, მაგრამ მაინც არა გამოვიდა-რა. „მე არ ვიცი, გორაევს დაეკითხე და ის გეტყვის ყველაფერსაო“.

გავზავნა თვითონ გორაევთან მოსამსახურე, მაგრამ მოსამსახურემ გვიპასუხა: „ახლა დასძინებიაო“ არიქა! მომელე რამე, მევხჩივლე ბუხჰალტერს, ეგებ გააღვიძო“, თორემ ცოტა თუ დაგვიანდა, ექვს საათამდის აღარ ადგება და მატარებელი გამასწრობს მეთქი. შეშპირდა—გავაღვიძებო, მაგრამ ამაოდ: ვერაფერი ვერ გაარიგა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ვთხოვე გაღვიძება, მაგრამ ვერა გავაწყე რა.

რადას ვიზამდი, იმის გაღვიძებისთვის რომ მეცადნა, მატარებელი გამასწრობდა და უფრო მეტი ზარალი მომივიდოდა. ქუთაისში რომ ჩამოვედი ბედზე რაჭალეჩხუმის ინსტრუქტორი ჟანი შემხვდა. მევჩივლე ჩემი ამბავი. ისიც მევიდა ჩემს მდგომარეობაში და შემპირდა, მე თვითონ მომიხდება საქარაში წასვლა და წამოვიღებ ვაზებსაო.

ეხლა თვითონ მკითხველმა განსაჯოს: რაჭიდგან, ესე იგი ჩემი სახლიდან, ქუთაისამდის სამოცდა ათი ვერსია, ქუთაისიდან ყვირილამდის კიდევ სხვა. თითო მგზავრობაზე მვიდ მანეთზე მეტი დამეხარჯა, ხოლო სამ მგზ ვრობაზე წავიდა 25 მანეთამდე. რასაც მოვცდი, ის კიდევ სხვაა. ვაზის ფული ექვსას მეტრის საქარის სანერგეს ერგება 6 მან. 3 კაპ., წასაღებსაც რაჭამდის გამ ამართმევენ 1 მანეთს. ასე რომ რაჭა-ლეჩხუმლისათვის 600 მეტრი ჯდება 28 მან. 3 კაპ. თუ ყველას იმნაირს მოწყალე ყურადღებით მოექცნენ საქარის სანერგეს მმართველნი, როგორითაც მე მომექცნენ.

აი, ასეთი ვაებატონები—ბიუროკრატები იმ დაწესებულებაში, რომელმაც ხალხს სამსახური უნდა გაუწიოს.

მღ. გ. ხოხაძე.

რედაქტორი **ვლ. გუნია.**
გამომცემელი **ე. აბელიშვილი.**

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქ. ნაპასარიძიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეების გარდა.

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნაპასარიძიანი; 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
ე. შ. წიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ფ. ა. მაჰანაზოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
მ. გ. აგეტიშიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. შ. პეტროსოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
გ. ი. გოლდმანი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
ა. ი. კარამურზიანცი: 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.
ა. ი. შმერინგი: $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
გ. ი. გურჯინოვი: 11—12 საათ. ქალებისა და საბებიო.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ი. გრიგორიანი: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნაპასარიძიანი.**
(544—წლ.—34)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივ საწოლებით. ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.
ადრესი: ელისაბედის ქ., № 79, ტელეფ. 1026.

მიხ. ალექსანდროვი: 11—12 ს. შარდ., კან., და სიფილ.
ნ. ნ. ეგიაზაროვი: 11—12 ს ნერვ. ავად., ელექტ. წამლობა.
გ. ა. ტერ-ევანოვი: 11—1 ს, შინაგანი.
მ. ბ. კიმონძე: 1—2 ს. ქირურგიული.
მ. რ. ელიზბაროვი: 1—2 ს. ყელისა, ყურ. და ცხვირისა.
ბ. ა. ზეიერი: 2—3 ს. ბავშვისა და შინაგ., ყოველ დღე, სამშაბათსა და პარასკ. გარდა.
ა. ნ. თუმანოვი: საღამ. 5—6 ს. ქალისა და ბებიაობა.

მკურნალობა ჰიპნოზით; მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრ. და ძიძების გასინჯვა, რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. არის საზოგადო პალატები და ცალკე ოთახები. (100—551—18

უმაღლესი ღირსების
ფეხსაცმელი
ამხანაგობა ს.-პეტერბურგის მეხანიკურ წარმოებისა
შეკერილი ვინტებზე ყოველგვარ მოდისა და საუკეთესო ფასონებისა, იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
СПБ
С.ПЕТЕРБУРГЪ

ნამდვილს მხოლოდ ასეთი ნიშანი აქვს.

პეტერბურგს	ხარკოვს	ეკატერინბურგს
მოსკოვს	ადესას	ირკუტსკს
რიგას	დონის-როსტოვს	ტფილისს
კიევს	ყაზანს	ტაშკენტს

ნიჟნი ნოვგოროდი და ირბიტის იარმუკებზე.

ერთაამად იყიდება
სავაჭრო სახლში
„ლეოპოლდ ნეიმელლერ“
ტფილისის განყოფილება იმყოფება ერევნის მოედანზე.

იქვე საწყობია **ტყავისა** რუსეთის და საზღვარ-გარეთის
კ ა ლ ო შ ი რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურის ამხანაგობისა.
კრემი და ფეხსაცმელის საწმენდავი.

ფეხსაცმელის სამეხანიკო წარმოების ამხანაგობა.
(25—4)

სტამბა „[illegible]“ (მ. დ. [illegible]) ნიკოლოზის ქ. № 6.